ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N51

სხდომის ჩატარების დრო:
29 ოქტომბერი, 2024 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული ოთახი N210

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაია სიმონიძე, მაგდა კოსტავა, თეიმურაზ ნადირაძე, ზაქრო მამასახლისი, ჯემალ ბიბილეიშვილი, ბესიკ ხამაშურიძე, მამუკა რიჟამაძე.

სულ: 8 წევრი.

არ ესწრებოდნენ: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

სულ: 6 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ვალერიან სილაგაძე,** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის“ ხელმძღვანელი **დემური ინანეიშვილი.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი შენგელია.**

საკრებულო ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ;

2.„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

4.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქუჩა N2/ჰერმან გმაინერის ქუჩა N2-ის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

6.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

7.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

8.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გია გოგავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

9.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ვენერა მეშველიანის, მარგალიტა ვარამაშვილისა და ნათია ბოჭორიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

10.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

11.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თეიმურაზ კოსტავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

12.ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N20; N20ა; N20დ; N20ე; N20ვ; N20ზ-სა და ბუხაიძის ქუჩის მე-2 მიკრორაიონის N1ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

13.ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩის N4-ში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. კომისია თავის საქმიანობის ფარგლებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ფულადი სახსრების მობილიზაციის, ბიუჯეტის შემოსავლების მიზნობრივად განკარგვის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების დადგენის, საქალაქო მეურნეობის განვითარებისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვას. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი, ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას, მიმდინარე წლის განმავლობაში „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში განხორციელდა 6 ცვლილება და ნუსხას დაემატა 31 ობიექტი, რომელთა პრივატიზაციის შემთხვევაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოხდება დამატებითი თანხების აკუმულირება. კომისია შედგება თოთხმეტი წევრისაგან. 2023 წლის ოქტომბრიდან დღემდე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 19 სხდომა, განხილულია სულ 95 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები. ჩატარებული ყველა სხდომა იყო საჯარო და თითქმის ყველა მათგანზე მოწვეულნი იყვნენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები. კომისია აქტიურად იყო ჩართული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში, ასევე მონაწილეობა მიიღო კანონით გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღებაში. საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების, დავალების გაცემისა და კონცეფციის დამტკიცების თაობაზე აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების განხილვას. მოცემულ პერიოდში, კომისიის მიერ აღნიშნულ თემაზე წარმოდგენილი თორმეტი საკითხი იქნა განხილული. საგულისხმოა, რომ კომისიის რეკომენდაციით საკრებულოს ბიურომ ხუთი საკითხი დაუბრუნა მერიას წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორების უზრუნველყოფის მიზნით. კომისიის დასკვნის გათვალისწინებით ერთი აქტის პროექტი მოყვანილ იქნა კანონშესაბამისობაში და განმეორებით იქნა საკრებულოში წარმოდგენილი

განსახილველად. მუშაობის კოორდინირების მიზნით კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2024 წლის სამუშაო გეგმა, რომელიც გახდა კომისიის ძირითადი სამუშაო დოკუმენტი. გეგმის მიხედვით, კომისიის სხდომებზე ხდება ანგარიშვალდებული ორგანოებისა და თანამდებობის პირების გაწეული საქმიანობისა თუ სამომავლო პერსპექტივების განხილვა. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული თუ სხვა ანგარიშვალდებული პირების ანგარიშებს. გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. გასული წლის ოქტომბრისა ნოემბრის თვეში ჩატარებულ სხდომებზე კომისიამ მოისმინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის, შპს „პარკინგსერვისისა" და შპს „ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის" ანგარიშები, ხოლო მიმდინარე წლის მაისის, ივნისისა და ივლისის თვეში კი,-ანგარიშები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის", „სპეციალური სერვისებისა" და „ქუთგანათების სერვისის" მიერ მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. მოგახსენებთ, როგორც კომისიის თავმჯდომარე, ჩართული ვარ „USAID"-ის ადგილობრივი თითმმართველობის პროგრამებით გათვალისწინებულ პროექტებში და ონლაინ პლატფორმის მეშვეობით აქტიურად ვერთვები ინტერვიუებში, მზად ვარ სამომავლოდაც გავაგრძელო ეს ნაყოფიერი თანამშრომლობა. მიმდინარე წლის განმავლობაში შეიქმნა მნიშვნელოვანი დოკუმენტი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია საქართველოს კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ეფექტიანად განხორციელების ხელშეწყობა. სტრატეგიით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულება კიდევ უფრო გაზრდის კომისიის როლს მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსების ეფექტურად მართვის პროცესში, უზრუნველყოფს კომისიის საზედამხედველო ფუნქციების მაღალკვალიფიციურ შესრულებას, ამასთან გაზრდის საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად, რომელიც ეხება, როგორც მატერიალურ, ასევე ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ: ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, სკვერების მოწყობას, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოების ჩატარებას, გარე განათების დამონტაჟებას, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრ სამუშაოებს, გზის საფარის მოწყობას და ა.შ, მერიის შესაბამისი სამსახურის წინაშე შუამდგომლობა გაეწია 65-მდე მოქალაქეს. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის შემდეგი საანგარიშგებო პერიოდის ძირითადი პრიორიტეტებია: საკრებულოში შემოსული, მის კომპეტენციას მიკუთვნებულ პროგრამებსა თუ პროექტებში მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა, ასევე, მის კომპეტენციას

მიკუთვნებული სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნების წარდგენა საკრებულოსათვის, ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი სამსახურებისა თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მონიტორინგი, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა განცხადებების განხილვა, მათზე სათანადო რეაგირება და სხვა."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ანგარიში 2023 წლის ოქტომბრიდან 2024 წლის ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- **„საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე დადგენილების პროექტი წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექციის" უფროსმა, ბატონმა **დემური ინანეიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **დ.ინანეიშვილმა** აქვე განმარტა: „მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-

ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", შეიცვალოს დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული დანართი N4, საჯარიმო ქვითრის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმა და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. ანუ დავაკონკრეტებ ცვლილება ეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის ცვლილებას, მის უკანა მხარეს გამორჩენილი იყო წარწერა „30 დღის ვადაში არის პირი ვალდებული გადაიხადოს ჯარიმა" და ასევე ჩავამატეთ „ნარჩენების მართვის კოდექსი" და ამ ოქმით ვწერთ უკვე ჯარიმებს."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი" მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმისა და საჯარიმო ქვითრის (ოქმის) ფორმების, მათი შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ივნისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ნუსხას ემატება 511-დან 518 ლოტის ჩათვლით ჩამონათვალი, სულ ჯამში 8 ობიექტი."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „აქ ჩამოთვლილ ობიექტებზე გვაქვს მოთხოვნა?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „უმეტესობაზე მოთხოვნა არსებობს, რამდენიმე პირადი ინიციატივითაც დავარეგისტრირეთ."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის

სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი განკარგულების პროექტით საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას ემატება დანართში მითითებული ქონებები, ფაქტობრივად ანალოგია, რაც ნუსხაზე ვისაუბრეთ, უბრალოდ, წარმოდგენილი პროექტიდან დამატებით ვიღებთ 266-ე და 268-ე ლოტით გათვალისწინებულ ობიექტებს."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქუჩა N2/ჰერმან გმაინერის ქუჩა N2-ის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება სახელმწიფოსათვის 44341 კვ.მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების გადაცემა უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, რათა სახელმწიფომ

თავის მხრივ გადასცეს შემდეგ შპს საფეხბურთო კლუბ ტორპედოს სარგებლობაში, მერია იტოვებს უფლებამოსილებას 10 წლის შემდეგ მოითხოვოს ეს ტერიტორია და უკან დაიბრუნოს."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ჰერმან გმაინერის ქუჩა N2/ჰერმან გმაინერის ქუჩა N2-ის მიმდებარედ), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულების N6 დანართიდან ამოღებულ იქნეს N58 და N59 მუხლები, კერძოდ, ვარლამიშვილის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთები, რომელიც გადაცემული იყო შპს „პარკინგსერვისზე", დღეს ეს ნაკვეთები გაერთიანებულია და შემოსულია განცხადება შპს „პარკინგსერვისიდან", რომ ფიზიკურად ვერ ხორციელდება პარკინგის ოპერირება იმ ტერიტორიაზე და ამოღებულ იქნეს ჩამონათვალიდან."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „პარკინგსერვისისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, სააქციო საზოგადოება „სილქნეტისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მერვე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გია გოგავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე გია გოგავასათვის პირდაპირი განკარგვის წესით, (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თაბუკაშვილის ქუჩა N26-ში საბავშვო ბაღის აღმოსავლეთით მდებარე უძრავი ქონების ნაწილის, კერძოდ, გაზონის (154 კვ.მეტრი) 20 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „აღნიშნულ ტერიტორიას დასჭირდება გაზონის სტატუსის შეცვლა სკვერის სტატუსად, გაზონი ზოგადად არის გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარს შორის არსებული ადგილი და ეს სტატუსი უნდა შეიცვალოს."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და

ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „სტატუსს მერია შეუცვლის ბრძანებით, აღარ დასჭირდება ამას საკრებულოს სხდომა."

საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **ირაკლი შენგელია:** „ჩვენ განვკარგავთ ქონებას, რომელსაც სახელად ჰქვია გაზონი, თქვენ რომ ბრძანებით სტატუსს შევუცვლით და დაარქმევთ სკვერს, უკვე სხვა ქონებად ითვლება და საკრებულომ ხელახლა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სკვერის თაობაზე და არ დადგეთ უსიამოვნო ფაქტის წინაშე."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „გავივლით აღნიშნულ საკითხს."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მერვე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე გია გოგავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მერვე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცხრე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ვენერა მეშველიანის, მარგალიტა ვარამაშვილისა და ნათია ბოჭორიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „აღნიშნული საკითხი შეეხება ჩამოთვლილი მოქალაქეებისათვის უძრავი ქონების ნაწილის იჯარით გადაცემის თემას, კიბის უჯრედების მოწყობის მიზნით."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეცხრე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: ვენერა მეშველიანის, მარგალიტა ვარამაშვილისა და ნათია ბოჭორიშვილისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეათე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „აღნიშნული ქონება წარმოადგენს ნიკეას ქუჩის ბოლოში არსებულ სკვერის ნაწილს რომელიც მდებარეობს ჭეიშვილისა და ნიკეს ქუჩების გადაკვეთაზე, იჯარით გაიცემა 656 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი 20 წლის

ვადით და წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 13 710 ლარს, დანარჩენი ვალდებულება აქვს მოაწესრიგოს სკვერის ტერიტორია."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი, ბარტონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რა პირობით ვაძლევთ, რა უნდა გააკეთოს ჩვენც რომ ვიცოდეთ."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „არქიტექტურის სამსახურში რომ შეიტანს პროექტს, იქ ისეთ კონსტრუქციას ვერ დადგამს რაც შეუსაბამობაშია სკვერის სტატუსთან."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „მოკლედ იღებს ვალდებულებას მოახდინოს განაშენიანება, რაც გულისხმობს მწვანე ნარგავების დარგვას, არსებულის მოვლას, ძელსკამების მოწყობას, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟს, ახლით შეცვლას ან დაზიანებულის აღდგენას, ერთი შეკითხვა მაქვს, ტიპიური იჯარის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, თუ არის პირობაში განსაზღვრული, რომ ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლოა დროზე ადრე გაწყდეს არსებული ხელშეკრულება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „კი რა თქმა უნდა ეს კანონით არის განსაზღვრული და შესაძლებელია."

კომისიის წევრი, ბატონი **მამუკა რიჟამაძე:** „მეორე მხრივ რომ შევხედოთ, ეს ტერიტორიები იმდენად გაპარტახებულია, ვინმე თუ მიხედავს და კეთილმოაწყობს მგონი არ უნდა იყოს წინააღმდეგი არავინ."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ზოგადად მსგავს საკითხებს ესკიზიც რომ მოაყოლონ არ შეიძლება? ეს ამხელა ტერიტორია რა კონფიგურაციით მოეწყობა, მთელი ტერიტორიის რა ნაწილია და ასე შემდეგ, არქიტექტურა თავის მხრივ შეითანხმებს მართალია და ვენდობით, მაგრამ სანამ ჩვენ თანხმობას მივცემთ ჩვენც ხო უნდა გვქონდეს ზოგადი წარმოდგენა მაინც."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეათე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე ნათია ვაშაყმაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

მუხლი 2. დღის წესრიგის მეათე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თეიმურაზ კოსტავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **ვალერიან სილაგაძემ.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **ვ.სილაგაძემ** აქვე განმარტა: „მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე თეიმურაზ კოსტავასათვის პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით) იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისში ვარლამიშვილის ქუჩა N2-ის შენობის დასავლეთით არსებული ტერიტორიის, 200 კვადრატული მეტრის ფართობის, 40 წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.“

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „ამ ადამიანს აქვს შპს და ადრე მივეცით ტერიტორია, რომელზეც ვერ განახორციელა განსაზღვრული მშენებლობა გარკვეული მიზეზების გამო და ახლა მოგვმართა რომ შპს-ს ნაცვლად იჯარა გადავცეთ ფიზიკურ პირს, რომელიც არის 70 წლის, ღმერთმა ყველა ძალიან დიდხან აცოცხლოს მაგრამ 40 წლის განმავლობაში თუ გარდაიცვალა ეს პირი უქმდება იჯარა?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „კი რათქმაუნდა უქმდება, იჯარა არ გადადის სამართალმემკვიდრეზე.“

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „რა უნდა აშენდეს ამ ადგილზე გვაქვს ინფორმაცია?“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „მსუბუქი კონსტრუქცია, აშენებით არაფერი შენდება."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „ამ მსუბუქ კონსტრუქციას ტროტუარი ხომ სჭირდება, იქ რომ მანქანა გაჩერდება ვკეტავთ იმ ქუჩას? რეაბილიტაცია ისედაც მილიონები ჯდება."

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ვალერიან სილაგაძე:** „მთლიანად არ ვამლევთ, ტროტუარის ნაწილს გადავცემთ მხოლოდ."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „როგორც ვიცი ამ ადამიანს ღია დახლების გაკეთება სურს, სავაჭრო დანიშნულებით."

კომისიის წევრი, ბატონი **თეიმურაზ ნადირაძე:** „წინასწარ უნდა ვიცოდეთ რა ტიპის, რამხელა, რა დანიშნულების კონსტრუქცია შენდება, არ ჩაკეტოს სავალი გზა არ გააღიზიანოს მოსახლეობა, მე წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ არ გამოიწვიოს უკმაყოფილება, ამიტომ წინასწარ წარმოდგენა რომ გვქონდეს რაიმეზე, ვფიქრობ უკეთესი იქნება, მე ამ უბნის მაჟორიტარი ვარ და ჩემი წილი პასუხისმგებლობა მაკისრია მოსახლეობასთან."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „არქიტექტურის სამსახურმა საკითხის დამუშავებისას გაითვალისწინოს პირობაში, რომ კონკრეტული იჯარით არ შეიზღუდოს ფეხით მოსიარულეთა ინტერესები და არ შეფერხდეს მოძრაობა კონკრეტულ ლოკაციაზე."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს :**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე თეიმურაზ კოსტავასათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N20; N20ა; N20დ; N20ე; N20ვ; N20ზ-სა და ბუხაიძის ქუჩის მე-2 მიკრორაიონის N1ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „მოგახსენებთ, რომ აღნიშნული საკითხი შემოვიდა მესამედ, წინა ორ ჯერზე დოკუმენტაცია არასრულყოფილების გამო დაუბრუნდა აღმასრულებელს, პირველ ჯერზე ზონიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთი, რომელიც ეკუთვნის თვითმმართველობას, გადანაწილებული იყო მისასვლელ შიგა კვარტალურ გზებზე, რაზეც თქვენ წინააღმდეგი წახვედით და ასევე მეორე ჯერზე პრობლემა იყო ფუნქციასთან დაკავშირებით, მთლიანად უნდოდათ ყოფილიყო საცხოვრებელი ზონა აღნიშნული დაგეგმარებული არეალი, ვინაიდან ის მაინც მოიაზრება ადმინისტრაციულ ცენტრად, ამიტომ რეკომენდაცია მივეცით ჩვენ, რომ იუსტიციის სახლის მხარეს ისე დამუშავდეს ტერიტორია, რომ დაიტვირთოს საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებით და სავაჭრო ცენტრებითა და ა.შ. ეს შემოტანილია 13 ნაკვეთზე, სულ არის 32 000 კვადრატული მეტრის ფართობის ტერიტორია. ეს არის პირველი ეტაპი ინიცირებაზე და თუ მისცემთ თანხმობას, არქიტექტორი, რომელმაც შემოიტანა საკითხი, დაიწყებს დამუშავებას."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირის N20; N20ა; N20დ; N20ე; N20ვ; N20ზ-სა და ბუხაიძის ქუჩის მე-2 მიკრორაიონის N1ა-ს სამხრეთით არსებული მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩის N4-ში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა **მამუკა კუბლაშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ბატონმა **მ.კუბლაშვილმა** აქვე განმარტა: „ეს ტერიტორია მდებარეობს მოსწავლე ახალგაზრდობის პარკსა და საცურაო აუზს შორის, ადრე იყო საცურაო აუზის ტერიტორია, შემდეგ შეისყიდეს მიქელთაძეებმა, დატოვეს რაც საცურაო აუზს სჭირდება ის ტერიტორია და დანარჩენი გამოყვეს. ტერიტორია არის 5300 კვადრატული მეტრის ფართობის, აღნიშნული ტერიტორია მოაზრებულია სარეკრეაციო სპორტულ-გამაჯანსაღებელი და გასართობი ფუნქციისათვის, ასევე უნდათ 18 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ჩადგმა."

კომისიის წევრი, ქალბატონი **მაია სიმონიძე**: „რამდენია ამ ტერიტორიაზე კოეფიციენტი ამდენსართულიანს რომ ითხოვენ?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი: „**4,6 არის კოეფიციენტი, საქმიანი ზონის კოეფიციენტია ხსენებული და მშენებლობის 75 პროცენტი უნდა იყოს საზოგადოებრივი დანიშნულების. პირდაპირ მოთხოვნით არიან შემოსულები რომ სურთ მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა და რასაც გადაიყვანს იმის კიდევ 4 პროცენტი ექნება ბიუჯეტში ექნება გადასაყვანი ბინებად."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი:** „რადგან გდგ-ზე მოდის, მოდის იმ პირობით რომ ითხოვს შევუცვალოთ ფუნქცია, თუ დავთანხმდებით შემოტანილ საკითხზე ეს ნიშნავს

თუ არა იმას, რომ მშენებლობის 75 პროცენტის გამოყენება საზოგადოებრივი ფუნქციით აღარ იქნება მისთვის სავალდებულო?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-სივრცის დაგეგმარების, ძეგლთა დაცვისა და სამშენებლო ნებართვების სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **მამუკა კუბლაშვილი:** „ჯენ გეგმის კონცეფციას მონიშნული აქვს ეს არეალი 59-ე გდგ არეალად და ზუსტად ეს ავალდებულებს მას დაამუშაოს გდგ, თქვენი თანხმობის შედეგად, რომ ააშენოს მრავალბინიანი კორპუსი და შეეცვალოს ფუნქცია ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქტით განსაზღვრული გადასახადი არ გადაიხადოს ბიუჯეტში, თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ამის ჩაწერის აუცილებლობა არსებობს, მაშინ გავიაროთ საკითხი იურისტებთან."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 8 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ბახტაძე, ლაშა შალამბერიძე, ნინო ბიბილეიშვილი, გიორგი კილაძე, კობა გურული, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩის N4-ში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და
საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე
ამირან კოპალეიშვილი